საქართველოს რესპუბლიკა

დიპლომი აუ № 040687

წარჩინებით

მიეცა ფიცხელაური მანანა
გივის ასულს

მასზე, რომ ის 1987 წელს შევიდა
თბილისის სახელმწიფო
სამხატვრო აკადემიაში
და 1992 წელს დაამთავრა სამხატვრო აკადემია
"ინტერიერის და მოწყობილობის"
სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1992 წლის
„12" ივლისის გადაწყვეტილებით
ფიცხელაური მ. გ. მიენიჭა
ინტერიერის მხატვრის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქ. თბილისი 1994 წ. „10" ივნისი

სარეგისტრაციო № 4726.

4

სერტიფიკატი

შპს არქ ტრენინგ ცენტრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
არქიტექტურისა, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი
ადასტურებენ, რომ

მანანა ფიცხელაურმა

გაიარა ტრენინგი: „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების
წესების უნარ-ჩვევები“

ივლისი, 2017 წ.

არქ ტრენინგ ცენტრი,
დირექტორი, პროფესორი მარინე მაისურაძე

სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის
ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ნინო იმნაძე

CURRICULUM VITAE

გვარი, სახელი, მამის სახელი:	- ფიცხელაური მანანა გივის ასული
დაბადების თარიღი:	- 09.12.1967 წელი
მისამართი:	- ქ. თბილისი, წყნეთის ქ. კორპ. 3 ბინა № 10
ტელეფონი:	მობ: 599 173 267
ელ-ფოსტა	pitskhel@yahoo.com
განათლება:	1987-1992 წ.წ ქ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი ინტერიერის დიზაინერი 2017 წ. შპს არქტრენინგ ცენტრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აქიტექტურისა, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი. “შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების უნარ-ჩვევები” ტრენინგი . სერტიფიკატი
სამუშაო გამოცდილება:	1993-2010 სსი "თბილქალაქპროექტი" არქიტექტორი 1998 წლიდან დღემდე შპს "ბიგა" არქიტექტორი
ენების ცოდნა:	ქართული - მშობლიური რუსული - სრულყოფილად ინგლისური - საშუალოდ
პროგრამების ცოდნა:	MS Office ; Internet Explorer; Archicad; Adobe Photoshop; Artlantis; Corel Draw

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

შესრულებულია არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

საფუძველი: „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის დადგენილების 51 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი

ობიექტის მისამართი: ქ.თბილისი, ზემო ლისი (ს/კ 72.16.17.427)
ობიექტის ფუნქციური დანიშნულება: საწყობი
საპროექტო ორგანიზაცია: შ.პ.ს "ა3 არქიტექტს" ს/კ 405231663 დირექტორი: ა.ცაავა
პროექტის მთ არქიტექტორი: კ . ღვინჯილია

საექსპერტო დასკვნა საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილების 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით მოიცავს შემდეგ ნაწილებს:
1) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;
2) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;
3) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;
4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;
5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;
6) მისაწვდომობის შეფასებას;
7) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;
8) სახურავის ანაწყობების შეფასებას;
9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;
10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;
11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

საექსპერტო დასკვნის შესადგენად ექსპერტიზისათვის გადმოცემულია სასაწყობე შენობების არქიტექტურული პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს:
1. საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტის ზოგადი ინფორმაცია (აღნიშნული მოიცავს: თავფურცელს; ფურცლების ჩამონათვალს; პირობით აღნიშვნებს; დაგეგმარების მიზნის აღწერას; შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზს)
2. დეტალების ფრაგმენტულ ნახაზებს
3. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმას −1:500 მ
4. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილი მიწის ნაკვეთის გეგმას (გენგეგმა)

5. გეგმებს, ჭრილებს, ფასადებს
დაკავებულობისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გეგმებს (აღნიშნული მოიცავს: დაკავებულობის დატვირთვებს; გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობებს; გასასვლელებს; გასასვლელთან მისადგომებს; გასავლელებსა და შენობიდან გამოსასვლელებს; გასასვლელამდე სავალ მაქსიმალურ მანძილებს; მისაწვდომობის სვლაგეზს; ცეცხლმედეგობის ხარისხიან მოთხოვნილ გამმიჯნავებს; გამოყენებულ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებს)
6. შენობის ვიზუალიზაციას

შენიშვნა: მოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

გადმოცემული მასალა აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილების 47 მუხლით განსაზღვრულ არქიტექტურული პროექტის შემადგენლობას და სრულად იძლევა ზემოაღნიშნული ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობას.

კვლევითი ნაწილი

მოცემულ ტერიტორიაზე პროექტი ითვალისწინებს ორი შენობის განთავსებას, ორივე მოდული ფუნქციური დანიშნულებით წარმოადგენს "საწყობს" : ბლოკი 1; ბლოკი 2

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:
- პროექტში გათვალისწინებული დაკავებულობები კლასიფიცირებულია „წესების“ მესამე თავის მიხედვით და აკმაყოფილებს 302-ე ქვეთავის ყველა მოთხოვნას. პროექტში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობები:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახი საწყობი

ბლოკი 1

მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (0.00 ნიშნულზე მიწისპირა პირველი სართული)

აღნიშნული შეესაბამება 311. 3 ქვეთავს.

<u>ბლოკი 2</u>

მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (0.00 ნიშნულზე მიწისპირა პირველი სართული)

ახალი ხილი და ბოსტნეული არაპლასტმასის ლანგრებზე ან კონტეინერებში

აღნიშნული შეესაბამება 311. 3 ქვეთავს.

- შენობაში არსებული თითოეული დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 1004.1.2 ცხრილის მიხედვით. სწორად არის არჩეული სივრცეების დანიშნულება და შემდგომ ამ სივრცეების იატაკის ფართობი გაყოფილია შესაბამისი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე. კერძოდ:

ბლოკი 1. 1063,6/27.9=38

ბლოკი 2. 1065.5/27.9=38

ცხრილი 1004.1.2 მაქსიმალური ფართობის დაშვება თითო დამკავებელზე	
სივრცის დანიშნულება	დაკავებულობის დატვირთვი ფაქტორი
სათავსი, სასაწყობო, დასატვირთი ფართობები	27,9 მთლიანი

2.კონსტრუქციის ტიპების შეფასება

პროექტის კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო შენობა (1 და 2 ბლოკი) შეესაბამება V-B კონსტრუქციის ტიპს და შენობის ელემენტები აკმაყოფილებს 601 ქვეთავის მოთხოვნებს (ლითონის თვითმზიდი ფურცლები, ლენტური საძირკველი, ცოკოლის ძირი)

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება

საპროექტო ტექნიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე: სტრუქტურული სიმაღლე : 10 მ;
საერთო ფართობი:
ბლოკი 1 - 1179,2
ბლოკი 2 - 1179,2
503 ცხრილის მონაცემების შესაბამისად განისაზღვრა კონსტრუქციის ტიპი VB.

ცხრილი 503 შენობის დასაშვები სიმაღლე და ფართობი[ა,ბ] შენობის სიმაღლის შეზღუდვები ნაჩვენებია მ-ში მიწის დონის ზემოთ. სართულიანობის შეზღუდვები ნაჩვენებია სართულებით მიწის დონის ზემოთ. ფართობის შეზღუდვები ნაჩვენებია მ²-ში „შენობის ფართობი“ განსაზღვრების მიხედვით, თითოეულ სართულზე				
	კონსტრუქციის ტიპი			პროექტის მონაცემებით
		ტიპი - V		ტიპი - V
		A	B	B
	სიმაღლე (მ)	15,2	12.2	10.0
ჯგუფი	სართულები ფართობი მ²-ში, თითოეულ სართულზე			
სწ-2	სართული ფართობი	3 1950	2 1250	1
ბლოკი 1				
იატაკის საერთო ფართობი				1063,6
იატაკის რაოდენობა				1
შენობის საერთო ფართობი				1179,2
ბლოკი 2				
იატაკის საერთო ფართობი				1065,5
იატაკის რაოდენობა				1
შენობის საერთო ფართობი				1179,2

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

წესების მე-10 თავის 1004 ქვეთავის, 1004.1.2 ცხრილის საფუძველზე განსაზღვრული დაავებულობების დატვირთვების გამოთვლით დადგინდა, რომ შენობის დაკავებულობების დატვირთვა შეადგენს :
1.ბლოკი 1 - 38;
2.ბლოკი 2 - 38;
შესაბამისად წესების 1021 ქვეთავის მიხედვით შენობის სწ-2 დაკავებულობის ჯგუფს ემსახურება ორი გასასვლელი გზა-კარი, რომელთა გასასვლელთან მისადგომის მაქსიმალური მანძილი შეადგენს 47,4 , რაც არ არ აღემატება 90 მეტრს და აკმაყოფილებს 1016,2 ცხრილის მოთხოვნებს

5. გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება.

გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია1008 ქვეთავის სესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.2 ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი (5.1 მმ)
მოთხოვნილის (ბლოკი 1- 193,8 სმ ; ბლოკი 2 - 193,8 სმ) ნაცვლად პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია ორი 300 სმ-იანი სიგანის კარი

საპროექტო მონაცემები

გასასვლელების რაოდენობა და სიგანე სასაწყობე ჯგუფი სწ-2-სთვის							
სართულები	გასასვლელების რაოდენობა			გასასვლელის სიგანე			
				კიბეები		გასასვლელის სხვა კომპონენტები	
		მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
0.00 ნიშნულზე	ბლოკი 1	2	2	0	0	193,8	600
	ბლოკი 2	2	2	0	0	193,8	600

6. მისაწვდომობის შეფასება

შენობის ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია არის მისაწვდომი:
ა ბლოკში 1-2 და ბ ბლოკში 1'-2' ღერძებში დამკავებელი პირდაპირ ხვდება მიწის დონეზე, ხოლო ა ბლოკში 2-1 და ბ ბლოკში 2'-1' ღერძებში იატაკის ნიშნულსა და მიწის დონის ნიშნულებს შორის სხვაობა შეადგენს 130 სმ-ს ამიტომ შენობის ამ ნაწილში გათვალისწინებულია 6%-ანი პანდუსი, რომელიც აკმაყოფილებს 1010.7.2 და 1010.7.3 მოთხოვნებს
პროექტის გეგმებზე ასახულია მისაწვდომი სვლაგეზი, რომელიც უზრუნველყოფს შშმ პირთა მისაწვდომობას შენობის ყველა ნაწილში.
ორივე საპროექტო შენობაში ტუალეტები მისაწვდომია შშმ პირთათვის. აღნიშნულ ტუალეტებში გათვალისწინებულია 1.5 მ დიამეტრის მქონე სუფთა არეალი, სადაც არ ხდება არანაირი დეტალის (უნიტაზის, ნიჟარის, კარის და სხვ.) შეჭრა

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ 1 და 2 ბლოკის გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობების დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია 705 ქვეთავის მიხედვით და შეესაბამება 705.8 ცხრილს. მოცემული დოკუმენტაციის მიხედვით პროექტში გათვალისწინებულია 2 საათიანი ხარისხი

ცხრილი 601 ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის (სთ)		
შენობის ელემენტები	ტიპი - V	
	A	B

ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო[ზ]	1	0
მზიდი კედლები გარე [ვ,ზ] შიგა	 1 1	 0 0
არამზიდი კედლები და ტიხრები გარე	იხ. ცხრილი 602	
არამზიდი კედლები და ტიხრები შიგა [ე]	0	0
იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები	1	0
სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები	1	0

8. სახურავის ანაწყობების შეფასება

სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები განსაზღვრულია 601 ცხრილის მიხედვით. სახურავის ანალიზიდან გამომდინარე დადგინდა, რომ სახურავის 1 და 2 ბლოკის მზიდი და არამზიდი ელემენტები აკმაყოფილებს კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე მოთხოვნილ 0 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხს. სახურავის მინიმალური ბურულების კლასიფიკაცია კონსტრუქციული ანაწყობიდან გამომდინარე ეკუთვნის C კლასს (ცხრილი 1505.1[ა])

ცხრილი 1505.1[ა]
სახურავის მინიმალური ბურულების კლასიფიკაცია კონსტრუქციის ტიპებისათვის

IA	IB	IIA	IIB	IIIA	IIIB	IV	VA	VB
B	B	B	C[ბ]	B	C[ბ]	B	B	C[ბ]

1505.4 C კლასის სახურავის ანაწყობები. C კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს სუსტი ცეცხლის ზემოქმედებას.

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება.

საპროექტო ობიექტი არის ერთი დაკავებულობის შემცველი და 508.4 ცხრილის შესაბამისად არ საჭიროებს ცეცხლმედეგ გამმიჯნავებს

10. ხანძრისგან დაცვის სისტემების შეფასება.

წარმოდგენილი პროექტის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ შენობა (1 და 2 ბლოკი) შედგება 311.3 -ის მიხედვით (მცირე საფრთხის შემცველ სასაწყობო ჯგუფი) სწ-2 ისაგან, სადაც ავტოსაშხეფი სისტემის აუცილებლობა არ გვხვდება, მისაღებია ხელის ცეცხლმაქრების განთავსება

ხელის ცეცხლმაქრები:
სწ2 ჯგუფის დაკავებულობებში განთავსდება ხელის ცეცხლმაქრები, თანახმად 906.1 პუნქტისა.
ცეცხლსაქრობები განთავსდება შენობის ყოველ 23 მეტრში, თანახმად 906.3(1) ცხრილისა.

შენიშვნა/რეკომენდაციები:

1. პორტატიული ცეცხლსაქრობები უნდა შეირჩეს და მოეწყოს NFPA 10–ის მოთხოვნების შესაბამისად.

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება

წყალსადენი სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობებისრაოდენობა შეესაბამება ცხრილი 1602.1-ის მინიმალურ მოთხოვნებს სწ-2-ის დაკავებულობისათვის

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის # 41 დადგენილებასთან ტექნიკური რეგლამენტის-„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, საპროექტო-სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს

ექსპერტიზის დასკვნა

შ.პ.ს "ა3 არქიტექტს" ს/კ 405231663 მიერ წარმოდგენილ ქ.თბილისში ზემო ლისი (ს/კ 72.16.17.427) მიწის ნაკვეთზე დაგეგმარებული სასაწყობო შენობების (ბლოკი1 და ბლოკი 2) საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული ნაწილების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების შედეგად, ექსპერტის მიერ დადგინდა- მოწოდებული სახით ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული პროექტის ნაწილები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: მანანა ფიცხელაური